№ 152
ოთხშაბათი, 19 ივლისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 152
ოთხშაბათი, 19 ივლისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთ „მშაკის" რედაქცია აუწყებს გარდაცვალებასა „მშაკის" გამომცემელის

**მარიამ ყარამანის ასულის ალამალიანისას.**

გარდაცვალებულს წაასვენებ „მშაკის" რედაქციის სადგომიდან ვანქის სობოროში—ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, იქიდან ხოჯავანქის სასაფლაოზე. დღეს, 19 ივლისს, საღამოს 7½ საათზედ პანაშვიდი იქნება გარდახდილი. (2—უ—1).

**ვპისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოუგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

# ახალი ამბავი

—

*** ამ ბოლო დროს მოსულ წვიმების გამო რკინის გზის სადგურ მარელისსა და ბელაგორს შუა კიდევ ჩამოწვა მიწის ზვავი; ამის გამო მატარებლების პირ-და-პირი მიმოსვლა ტფილისსა და ბათუმს შუა შემწყდარია. ბათუმის მატარებელი აქეთ ვეღარ მოდის და აქაური იქით. იმ ადგილს, სადაც ზვავია ჩამოწოლილი, მგზავრნი ფეხით გადიან.

*** როგორც გაზ. „ტ. ფ. ფურც".-ი ამბობს, სახელმწიფო ბანკს განზრახვა აქვს კავკასიაში მელორაციული კრედიტი გახსნას. ამ საგნის შესახებ კიდევაც დაეკითხა სახელმწიფო ბანკი თავისს განყოფილებას ტფილისშიო.

*** სამეურნეო საზოგადოების ინსპექტორი გეევსკი ქუთაისის გუბერნიასა და გორის მაზრაში წავიდა ამ ადგილებში ფილოქსერით დაავადმყოფებულ ვენახების გასასინჯად.

*** ტფილისში ყვავილით ავადმყოფნი ჯერ კიდევ არიან. 10-დგან 17 ივლისამდე ყვავილით ხუთი გახდა ავად.

*** ტყიბულა, 17 ივლისი: დიდის წვიმების გამო ქუთაისიდგან მე-17 ვერსზედ მოვარდნილმა ნიაღვარმა რკინის გზის ლიანდაგის ბოგირი მოიტაცა. მატარებლები არ დაიარებიან. გზა მხოლოდ შვიდის დღის შემდეგ გაკეთდება.

*** საცხენისი, (სიღნაღის მაზრა): ექვს ივლისს აქ სეტყვა მოვიდა, რომელმაც ჰირნახული საშინლად გააფუჭა.

*** კოჯორი: საშინლად მოწყენილნი არიან ჩვენი მეაგარაკენი, ერთად-ერთი მათი გასართობი მუსიკაა. არ შეგვიძლია არ აღვიშნოთ კიდევ ერთი ნაკლულევანება მეაგარაკეთათვის. ეს არის გაზეთის უქონლობა; შარშან ტფილისიდგან მოჰქონდათ ხოლმე წვრილ ვაჭრებს გაზეთები გასასყიდათ, წელს-კი აღარავის ამოუტანია.

*** ქიზიყი: ცუდის გაზაფხულის გამო საშინლად დაზარალდნენ აქაური ვენახები, ასე რომ ღვინის მოსავალი ძლიერ ნაკლები იქნება ამ წელში. ამის-და მიუხედავად აქაური ჩარჩები წყლის ფასად ყიდულობენ შარშანდელს ღვინოს გაჭირვებულ ხალხისაგან. ნეტა როდის გვეღირსება, რომ ყველგან საკუთარი დეპო-ბანკები გვქონდეს?

## კორესპონდენცია.

—

**ს. კულაში.** მე წავიკითხე «ივერიის» № 145-ში კორესპონდენცია ვლ. კულაშელისა ადგილობრივის ჯვარცმის ეკკლესიის გადახურვის შესახებ: დიაკ ყრილობის მოწვევა ბლაღოჩინის მიერ და მოლაპარაკება აზნაურთა და გლეხთა შორის ყველა მართალია, მაგრამ დანარჩენი-კი ყოველივე სიცრუვე მოუჭორავს ვლ. კულაშელს. რამ აიძულა კორესპონდენტი მეტად მაკვირვებს; თუ მეტი არა—აზნაურობა, თუ დაბალის წოდების, კაცი თუ ქალი სამასი სული მაინც ვიქნებოდით დამსწრე მოლაპარაკებაზედ და როცა ამ მასალას უგზავნიდა რედაქციას ბ. ვლ. კულაშელი, ნუთუ აღარ იფიქრა, რომ ამისთანა სიცრუვე ნამეტანი იქნებაო.

აი რაში მდგომარეობს საქმე: მართალია, ძველ დროიდგანვე მომდინარეობს და ასე ყოფილა ჩვეულება, ეს ეკკლესია აუგიათ საკუთრად გვარად მიქელაძეებს, და იმ დროიდგანვე ასე დაუდვიათ წესად და მომდინარეობს, დაბალის წოდების მიცვალებულთ არ შეასვენებენ ეკკლესიაში და ამის უფლებას თხოულობდნენ გლეხები, რაზედაც საზოგადოდ ყველანი დავეთანხმენით, მხოლოდ ეკკლესია საერთო ხარჯით გაგვეკეთებინა, როგორც გადახურვით, ისე სხვა ყოველი შეკეთებაც ემონაწილებინათ გლეხებს და სარგებლობაც თანასწორად მიეღოთ, მაგრამ მაინც აღარ ისურვეს გლეხებმა.

რაც შეეხება გლეხებისაგან მიცვალებულის ეკლესიაში შესვენებისათვის ხუთი თუმნის მოთხოვნას აზნაურთაგან და კაცის დაყენებას ეკკლესიაში წესიერების დასაცველად, ეს ნამდვილი სიცრუვე მოუხსენებია ვლ. კულაშელს. აქ უნებურად მაგონდება ჩვენის დიდებულის შოთა რუსთაველის დარიგება: „სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცს და მერმე სულსა."

გიორგი ბესარიონის ძე მიქელაძე.

—

**ს. წილკანი** (დუშეთის მაზრა), 17 ივლისს. არ იქნა—ვერ ველირსენით თავისუფალ წყალსა. საქმენ ბოლო არ უჩანს და ეტყობა ჯერ კიდევ გარგა ხანი გაივლის, ვიდრე ასე თუ ისე გათავდება ჩვენი საჩივარი. არა ერთხელ გვიუწყებია „ივერიის" მკითხველებისათვის, როგორს გაჭირვებაში ვიყავით ჩავარდნილი: თითქმის ორმოც წელიწადზედ მეტი უწყალოობით სულები გვეხუთებოდა, მაგრამ ჩვენი შემბრალებელი მაინც არავინ აღმოჩნდა, თუმცა გამვლელ-გამომვლელს შევჩიოდით ჩვენს უბედურებასა. ვისაც ჩვენი შველა შეეძლო, იმათ ხომ მოწყალე მათხოვარასებ, ღვთი! ვულისათვის, ვემუ-

# ფელეტონი

## სიმღერა

—

ცაზე იარე მთვარეო,
მზეო, აბძანდი—დაბძანდი!..
მთებო, იშიშვლეთ გულ-მკერდი,
ხან მოიხვიეთ ნაბადი...
დაწვიმე, შავო ღრუბელო,
დაალბე მკერდი მიწისა,
გაუცინოდი ლამაზო,
ახარე გული ბიჭისა!..
იტანჯეთ ტრფობის ცეცხლითა,
დრო ჩვენ არ გვიცდის, მიდისა,
დავიხოცებით, ტყვენი ვართ
ჩვენ მეუფისა დიდისა.
საიქიოდამ სახლომი
ზღუდე არა სჩანს ხიდისა,
ტიალი წუთი სოფელი
მიდის, მიდის და მიდისა;
ჰხედავთ მოკლეა სამზღვარი
უსამზღვრო ზღვისა კიდისა!..

ვაჟა-ფშაველა.

## ბიბლიოგრაფია.

„კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა № 43. „ასპინძის ომი", ისტორიული ამბავი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მეფე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით. მეორე გამოცემა. ახალ-სენაკი, 1895 წ.

საყმაწვილო წიგნების ავტორს მეტის-მეტი სიფრთხილე ჰმართებს, ვინაიდგან ამ წიგნების მკითხველები უმეტეს ნაწილად ყმაწვილები არიან. შეიძლება ცუდად დაწერილმა საყმაწვილო წიგნმა სამუდამოდ გარყვნას და დაამახინჯოს ბავშვის ზნეობრივი ბუნება; გამოიყვანოს იგი საზოგადოების მავნე წევრად და ხორცმეტად. საყმაწვილო წიგნების წერა ყველა მწერალს არ შეუძლია; მათი შედგენა ისეთი ადვილი არაა, როგორც თამბაქოს მოწევა და ან რომელისამე უაზრო ლექსის გამოცხობა. საყმაწვილო წიგნების შესადგენად აუცილებლად საჭიროა განსხვავებული ნიჭი; ამ ნიჭისათვის-კი საჭიროა განვითარება და დახელოვნება ხანგრძლივის მოღვაწეობით საპედაგოგიო ასპარეზზედ და პედაგოგიურის დაკვირვებით და გამოცდილებით. ბევრი ნაკლულევანებანი აქვთ ზოგიერთს ქართულ საყმაწვილო ლიტერატურის წარმომადგენელთ. იმათ გამოჰყავთ საყმაწვილო ნაწერებში გმირებად და მომქმედ პირებად უმეტეს ნაწილად ისევ ბავშვები და ფიქრობენ, რომ ბავშვი დიდის სიამოვნებით წაიკითხავს ისეთს ნაწერებს, რომლებშიაც ბავშვებზეა მხოლოდ საუბარი.

მართალია, ბავშვი თანაუგრძნობს ბავშვსა და მოსწონს მისს მოქმედებათა აღწერის წაკითხვა, მაგრამ ესევე ყველა ბავშვებზედ არ ითქმის: თითოეულს ბავშვს აქვს თვისი ინდივიდუალური თავისებურობა, რომლითაც ერთი ბავშვი მეორისაგან განსხვავდება. შენიშნულია, რომ, თუმცა ბავშვებს-კი უყვართ ტრიალი თავისს ტოლებში, მათთან გართობა-თამაშობა, მაგრამ მათს ბუნებაში ღრმად ჩანერგილია სურვილი იმის გაგებისა, თუ რას შვრებიან დიდნები, რომელთ ზედ-გავლენის ქვეშ სწარმოებს მათი აღზრდა და განვითარება. ბავშვებს ცხადად ემჩნევათ, რომ ბუნების მიერ აქვთ მინიჭებული ლტოლვილება წინ-სვლისა და განვითარებისა; ამიტომ საყმაწვილო ნაწარმოებთა გმირებად უნდა იყვნენ არა თუ მხოლოდ ბავშვები, არამედ დიდრონებიც, ოღონდ-კი ამათს მოქმედებას ჰქონდეს ბეჭედი ზნეობითის სიმაღლისა და სიფაქიზისა,—და შინაარსიც ამ ნაწარმოებთა ეთანხმებოდეს ამ უთავრესს მიზანს ყოველის საყმაწვილო წიგნისას. ზნეობრივი სწავლა, თვალსაჩინოდ გამოხატული, უფრო ძლიერად მოქმედებს ბავშვის ზნეობითს აღზრდაზედ, ვინემ მშრალ-მშრალი უნიადაგო დარიგებანი დედისა და გადიისა. ზნეობრივი აზრები, გამოხატული არაკის, იგავის, მოთხრობის, რომანის, სატირის სახით ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენენ ბავშვის ბუნებაზედ. მასში ისინი ამუშავებენ ზრდიან და ამტკიცებენ იმ ერთგვარს გრძნობას, რომელსაც ზნეობა ჰქვიან. ოღონდ რომელმამე საყმაწვილო ნაწარმოებმა აღძრას ბავშვის გულში სიყვარული და პატივის-ცემა ამ ნაწარმოებში გამოყვანილი კეთილ პირებისა და მათ მოქმედებათა, სიძულვილი ბოროტ პირებისა და მათ მოქმედებათა, და მისი მიზანი მიღწეული იქნება. შეიძლება ჩვენი მოსაზრება არ მოეწონოს მას, ვისაც „ზრდილობა, თავაზიანობა" და „გარეგანი კეთილმსახურება" ზნეობა ჰგონია. ისტორიულის შინაარსის საყმაწვილო საკითხავად დაწერილი ნაწარმოები ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ახალთაობის ზნეობრივად აღზრდისათვის. პედაგოგების აზრით, საუკეთესო მეთოდად ასეთის შინაარსის ნაწარმოებთათვის ითვლება „მეთოდი მონოგრაფიულ-ბიოგრაფიული".

საქართველოს აქვს თავისი დიდებული მრავალ საუკუნოვანი წარსული, რომელშიაც ვხედავთ მრავალს შესანიშნავს მოღვაწეებს მტკიცე ხასიათით, მრავალ საერო გმირებს, თავ-განწირულთ მამულისა და მოძმისათვის. საქართველოში სჩქეფდა დიადი ისტორიული ცხოვრება; ის იყო მოედნად შესაჩნევ ისტორიულ მოვლენათა. ქართველს ერს, თანამედროვეს ყოველის ისტორიულისა და კულტურულის ერისას, აქვს თვისი საკმაოდ მდიდარი ეროვნული კულტურა, მისის თავისებურობის, მისის ეროვნულის „მე"-ს გამომხატველი. საქართველოც ემსახურებოდა საერთო საკაცობრიო იდეალებს და იდეებს; იმისი სისხლის ღვრა, ფიცხელ ომებთან შეერთებული, არ იყო დაფუძნებული მხოლოდ უბრალო თვითდაცვის ალღოზედ, რომელსაც პირუტყვნიც-კი არ არიან მოკლებულნი. მისი ომი მტრებთან იყო გონიერი; ის დარაჯად უდგა ქრისტიანობას აზიაში წინაამდეგ აზიისვე მძვინვარე მაჰმადიანობისა, ამიტომაც მონოგრაფიულ ბიოგრაფიული ნაწარმოები ისტორიულის შინაარსისა შეიძლება ძლიერ ბევრი დაიწეროს საქართველოს ისტორიიდგან. მხოლოდ მწერალი უნდა სცდილობდეს ასეთის ნაწარმოების დაწერის დროს აერიდოს ისეთის პირების დახასიათებას, რომელნიც სულ ხელმძღვანელობდნენ ცხოვრებაში ფიზიკურის ძალით, პირადი—ვიწრო თავ-მოყვარეობით და მხეცური ძალმომრეობით და არ იყვნენ გამსჭვალულნი, გაკეთილშობილებულნი გონიერის აზრით, შეგნებულის მიმართულებით.

ყოველს ისტორიულს მოღვაწეს და ისტორიულსავე მოვლენას უპირველეს ყოვლისა უნდა უცქეროდეთ ზნეობითის მხრივ; უამისოდ ისტორიული ამბავი გადაიქცევა შემთხვევითს კრებულად ისეთის ფაქტებისა, რომელნიც დააკმაყოფილებენ მკითხველის უქმს ცნობის მოყვარეობას და ვერავითარს სამსახურს ვერ გაუწევენ გონიერის აზრებისა და წმიდა გრძნობების შეძენისა და განვითარების საქმეს. უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ პედაგოგიკა ისტორიას აკისრებს უპირველს ყოვლისა ზნეობითს მოვალეობას და მნიშვნელობას სწავლა-აღზრდის საქმეში. თვით ეკონომიურს ბრძოლას დასავლეთ ევროპაში, ინტელიგენციის მოღვაწეობას მდაბალი დაჩაგრული წოდების აღსადგენად და საკეთილ-

დარებოდით ჩვენი საკუთარი ნარეკვავის წყლიდგან ცოტა მაინც არის ეწილადებინათ. მაგრამ, ვერა და ვერა! შეუძლებელი გახდა წილკნელებისათვის „ნარეკვავის“ დაბრუნება. საქმეს აბანდებდა ის გარემოება, რომ „ნარეკვავის“ პირით ერთმა მეზობელმა მებატონემ ოსები დაასახლა და წყალიც იმათ მიაბრუნეს, თუმცა ამათ დასახლებამდის „ნარეკვავი“ თავისუფლად დენილა და გზაში არავინ გადმოსდგომია.

დიდად საზიანო იყო წილკნელებისთვის ოსების დასახლება ბატონის მამულზედ. ბევრს ეცადნენ წილკნელები შეუბრალებელ მეზობლებთან საქმე მშვიდობიანათ გაეთავებინათ, მაგრამ ამაო იყო ყოველი ცდა. მეტი ღონე არ იყო, წილკნელებმა მიჰმართეს ბატონსა და იმანაც სიხარულით ნება მისცა ქსნიდან არხის გამოყვანისა ათის ვერსის მანძილზედ, მხოლოდ იმ პირობით‘ რომ მთლად სოფელს წელიწადში სამი დღე ემუშავნა ბატონის სასარგებლოდ, როცა-კი დასჭირდებოდათ. მართალია, პირობა სამი დღე იყო, მაგრამ ბატონის თავგასული მოურავები ხალხს თავიანთ სურვილისამებრ იმსახურებდნენ და ვაი იმის ტყავს, თუ უარის თქმას გაბედავდა ვინმე. ოსებმა მშვენიერი ვენახები გააშენეს, ყველაფერი შეიძინეს და იმათ სოფელს, რომელსაც სამართლიანად „ძალისი“ დაერქვა, დუშეთის მაზრაში შეძლებულ სოფლებ შორის პირველი ადგილი უჭირავს. ძალისელები ნარეკვავით ნასაზრდოებ მოსავლის ზიდვას ვერ ასდიან ქალაქებში, როდესაც წილკნელებს უწყლოობით ვენახები უხმებათ და ბევრჯელ სასმელადაც ენატრებათ. ეს სამი წელიწადია მთავრობის ყურადღება მიიქცია წილკნელების გაჭირვებულმა მდგომარეობამ და უმაღლესადაც შეწყნარებულ იქმნა თხოვნა, სამყოფი და თავისუფალი წყლის გამოყვანაზედ. უმაღლესადვე დამტკიცებული წყლის წესები და დებულება დაურიგდა მსახურ პირებსა. ინჟენერ ჰიდრავლიკი ბ-ნი სავიცკი რამდენჯერმე მოვიდა ჩვენს საფელში, საჭირო პლანები შეადგინა და ნარეკვავის წყალი შუაზედ გაუყო მონაწილეებს, ე. ი. წილკნელებს და ძალისელებს. ამასთანავე ბ-მა სავიცკიმ გამოუცხადა მონაწილეებს, რომ ვინც ჩემ მიერ გაყოფილს წყალს ხელს ახლებს, იგი სასტიკად დაისჯებაო; ჯერ-ჯერობით ასე იყოს, იოლას გადით და ამ მოკლე ხანში თავისუფალი წყალი მოგეცემათო. ან-კი რა საჭიროება მოითხოვდა ამგვარად წყალი გაყოფილიყო, როდესაც ძალისელ ოსებს შეუძლიანთ გაუჭირებლივ უკვე გაკეთებული საგლახოს არხით გამოიყვანონ „ქსანი“. წყლის გაყოფა მაინც ბედნიერება იყო წილკნელებისათვის. ლოცვით და დიდის მადლობით იხსენიებდნენ მთავრობასა და ფიქრობდნენ,ახლა-კი ეგ არის გვეშველაო და შეუდგნენ ხელ-ახლად ვენახების მოვლა-მოშენებასა. მაგრამ, წილკნელების საუბედუროდ, ბ-ნ სავიცკის გაყოფილმა „ნარეკვავმა“ თავი ვერ დაიჭირა; ძალისელმა ოსებმა მთავრობის განკარგულება არაფრათ ჩააგდეს, ერთის კვირის შემდეგ „ნარეკვავი“ ისევ მიაბრუნეს და წილკნელებიც ხელ-ახლად შეუდგნენ საჩივრებისა და თხოვნის გზებსა.

წყლების სამმართველოში იჩივლეს, მირაბ მ. რატიშვილსაც შეატყობინე‘, მაგრამ უკანასკნელმა საქმის უცოდინარობის გამო თავისს გემოზედ გამართა ჰიდრავლიკთან მიწერ-მოწერა და ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ პროექტი უნდა შეედგინათ იმ ადგილებისა, სადაც ქსნის გამოყვანა მოხერხდებოდა და ნარეკვავის ხსენება-კი აღარ არის, ურომლისოდაც წილკნელებს ცხოვრება არ შეუძლიანთ. ჰიდრავლიკის გეგმით პროექტის შედგენას 10—15 თუმანი სჭირდება, თუ წილკნელები შეადგენენ მას, რაიც სრულიად საკმარია ხსენებული საქმისათვის. ბ-მა სავიცკიმ ის აზრი წარმოსთქვა, როცა „ნარეკვავი“ გაჰყო, რომ უკანასკნელი სრულიად წილკნელებისთვის უნდა მოეცათ. როდესაც საქმეს მიმავალი კომმისია კანონიერათ დააბოლოვებდა, ე. ი. ძალისელებს აღეკრძალებოდა „ნარეკვავის“ წყლით სარგებლობა. ძალისელებს თითქმის უხარჯოთ შეუძლიანთ ქსნის წყლით ისარგებლონ და ამავე საქმისათვის წილკნელებს-კი დიდი შრომა და ხარჯი დასჭირდებათ. სამჯობისი იქმნება, რომ წილკნელებს ნარეკვავი მიეცეს და ძალისელებს-კი ქსნის წყალი, რადგანაც, ვიმეორებ, ამ გვარის საშუალებით საქმე თითქმის უხარჯოთ დაბოლოვდება. წყლის ძვირობის გამო წილკანში დიდი უბედურება ტრიალებს, საშინელი ჩხუბი და ხანჯლების ტრიალი წყლის გამო სოფელში ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენენ. მოჩივარიც ბევრი მიდის ახლად დანიშნულ ბოქაულთან, მაგრამ იგი ხანჯლებით მოჩხუბრების ალაგმვას ვერ ახერხებენ.

წილკნელების დღიურ ბოროტს შეადგენს აგრეთვე ზოგიერთა მეზობელ მებატონეების ბარბაროსული საქციელი. თუ როგორმე იმათ მამულში წილკნელების საქონელი გადავიდა, მაშინათვე დასაკლავს დაჰკვლენ და შესაბმელს შეაბმენ. დატუსაღებული პირუტყვის გამოსახსნელი ფასიც ხომ უდიერობას მიემგზავსება. არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო აგრეთვე ბ. ჩიჩუას საქციელი წილკნელების მიმართ, თუმცა უკანასკნელნი ბრალნი არაფერში არიან. ეს სამი თვეა საუფლისწულო მამულების მოურავმა, ბ-ნმა ჩიჩუამ, გლეხებს „ქალის გზაზედ“ სიარული აღუკრძალა. საბრალო გლეხები იძულებულნი არიან მისაქციელის გზით იარონ ტფილისში, რომელიც ათის ვერსით მომეტებულია ქალის გზაზე. „ქალის გზას“, რომლის გაკეთებაც არავის ახსოვს, ჰდარაჯობენ თათრები და გამვლელ-გამომვლელს სძარცვენ. ამ თვის შვიდში ქალის გზით ტფილისში წასულიყო წილკნელი გლეხი მ. ბესანაშვილი. გზის დარაჯებს ამ გლეხისათვის ეცემათ და ხარებიც წაერთმიათ. ბოქაულის შემწეობით ხარები სამის დღის შემდეგ დაუბრუნეს გლეხსა, მაგრამ კიტრით სავსე ურემი-კი ვიღასაც გაენახევრებინა. ამას დაუმატეთ, მკითხველო, წილკნელი მედუქნების მიერ გლეხების ძარცვა და ადვილი წარმოსადგენი იქნება წილკნელების უბედური ცხოვრების სურათი.

წილკნელი.

## მცხეთის ტაძარი

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია „წერილი რედაქციის მიმართ“. წერილი ეკუთვნის ხუროთ-მოძღვარს კ. ტატიშჩევს, რომლისათვისაც თავ. მუხრან-ბატონს დაუვალებია მცხეთის ტაძრის დათვალიერება. ხუროთ-მოძღვარს სამწუხარო მდგომარეობაში უნახავს ტაძარი და აი, რასა სწერს ამის შესახებ ზემოხსენებულს წერილში: „გარეგანი მხარე ტაძრისა მთლად დამახინჯებულია. სჩანს ტაძარი შეუკეთებია კალატოზს, რომელსაც არა სცოდნია ძველი ქართული ხელოვნება, ზოგან კალატოზს ქართული თაღები, რომაულ თაღებად შეუცვლია, მაგრამ ეს თაღები არც რომაულსა ჰგავს. ზოგან თაღები მთლად მოუშლია და მის მაგიერ გაუკეთებია სწორე კედელი. ბურული გაკეთებული ძველს ქართულს გემოვნებაზედ, იმდენად ცუდად ყოფილა მოვლილი, რომ ტაძარში ავდრის დროს წყალი ჩადის, რის გამოც ტაძრის გუმბათი დახეთქილა, კირი ჩამოცვენულა და დიდრონი ქვები და აგურები საცაა ჩამოინგრევა; იატაკი ხომ იმდენად გაფუჭებულა, რომ ცუდად ქვით დაფენილს ქუჩას მოგვაგონებს. გუმბათი და თაღები ნესტიანია, ფანჯრები იმდენად გაფუჭებულა, რომ ტაძარში ფრინველები შეფრინდებიან ხოლმე. სამწუხარო სურათს წარმოადგენს ის გალესილი ნაწილები ტაძრისა, საიდამაც ცოტათღა მოსჩანს ძველი ხელოვნების მხატვრობა. ეზოში რამდენიმე დაქცეული სახლი სდგას. თვით ეზო სავსეა ნაგავით, მიუმატეთ ამას ვიღაც ბრიყვების მიერ ნაჩხაპნები, რომელიც მრავლად ატყვია კედლების გარეთა პირს და თქვენს თვალს წარმოუდგება სრული სამწუხარო სურათი ამ ძველის-ძველის ტაძრისა.

ხუროთ მოძღვარს ჯერ არ გამოუკვლევია რა დასჭირდება ტაძარს შესაკეთებლად.

## ქობულეთის გათათრება

(ნაამბობი ვარჯანელის მცხოვრებ ღრმად მოხუც ჰაჯი თხილაიშვილისაგან).

ოსმალებმა ჩაქვი აიღეს, ჩაქვის შემდეგ კინტრიში და მერე ჩოლოქამდის წავიდნენ. მალე ხალხს გათათრება დაუწყეს და ბევრიც გაათათრეს ძალით. მაგრამ ბევრნი-კი წინა-

---

დღეოდ, საფუძვლად უდევს ზნეობითი მოძღვრება, რომელიც, სხვათა შორის, ჰქადაგებს წმ. მოციქულის პავლეს პირით წოდებათა, მდგომარეობათა და სქესთა შინაგანს სულიერს თანასწორობას: მხოლოდ ეს საფუძველი თვისის ვითარებით სხვა-დასხვა საუკუნოებში სხვა-და-სხვაობდა, ვინაიდგან კაცობრიობას სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირად ესმოდა თვით ცნება ზნეობისა. რაც უფრო გავრცელდება ჩვენში ისტორიული შინარსის პატარ-პატარა წიგნაკები, ჩვენს ახალთაობას მით უფრო განუვითარდება სიყვარული სამშობლოისა და დედაენისა, გაუფაქიზდება ზნეობა და გაუძლიერდება ეროვნული თვითცნობიერება. ასეთს გავლენას იქონიებს უეჭველად ჩვენს ახალ თაობაზედ ბ. იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილი ისტორიული ამბავი: „ასპინძის ომი“, რომელიც შედგენილია თანახმად ზემო-თქმულ ჩვენ მოსაზრებათა. ეს წიგნი მეორე გამოცემით გამოსულა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ხსენებულს ნაწერს ჩვენის ცნობილის პედაგოგისას თანაგრძნობა და სიყვარული მოუპოვებია ჩვენ პატარა ქართველ მკითხველთა შორის.

როგორც შენიშნული გვაქვს,ჩვენი ახალ თაობა დიდის ალტაცებით ეგებება და ეტანება ბ.გოგებაშვილის საყმაწვილო ნაწერებსა. ეს ასეც უნდა იყოს. მას, როგორც პედაგოგის ღრმად მცოდნეს, ესმის და გაეგება ბავშვის ბუნების მოთხოვნილებანი, იცის მისი გულის პასუხი მისი სულიერი ცხოვრება. თითოეული საყმაწვილო ნაწარმოები ბ. გოგებაშვილისა შეფარდებულ - შეხამებულია ბავშვის ბუნების მოთხოვნილებებთან; მისს ნაწერებში ვერ ნახავ ისეთს რამეებს, რაიცა ჰრყვნის და აღუხჭირებს ბავშვის ზნეობას. საზოგადოდ ბ. გოგებაშვილი ერიდება თავისს საყმაწვილო ნაწერებში სარომანო სცენებს და ფაქტებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ასეთი სცენები და ფაქტები საშინელს ცუდს ზედგავლენას იქონიებს ახალთ აობის ზნეობითს განვითარებაზედ.

ზემოხსენებულის წიგნის შინაარსი აღშენებულია ნამდვილს ისტორიულს გარემოებაზედ, რომელიც მოხდა საქართველოში 1770 წელსა. ასპინძის ომი—კლასსიკური შემთხვევაა, და ამ ომის გმირი—ერეკლე მეორე —კლასსიკური პირია საქართველოს ისტორიაში. ამ ომში გამარჯვებით ქართველმა ერმა და მისმა სახელოვანმა მეფემ ერეკლემ დაამტკიცეს თვისი სამხედრო გენიოსობა, რომელმაც აალაპარაკა მთელი ევროპა, მთელი კაცობრიობის ყურადღება კავკასიოის მთებისკენ მიჰმართა. ასპინძის გამარჯვებამ ისეთი თავზარი დასცა ხვანთქარს და ყაენს, რომ ისინი დიდის რიდით და პატივით ეპყრობოდნენ ერეკლესა და პატარა საქართველოსაც. ერეკლეს გმირობა, მისი სივაჟკაცე საანდაზოდ გახდა მთელს კავკასიაში და აზიაში; ყველა უქადდა საქართველოს საუკეთესო, ბრწყინვალე მომავალსა, მეთაურობას მთელის აზიის ქრისტიანებისას... ამ ომში ერეკლემ ცხადად დაამტკიცა, რომ ის შემკული იყო გენიოსურის სამხედართმთავრო ნიჭით, რომელიც მასში განვითარდა ხანგრძლივის სამხედრო მოღვაწეობით ინდოეთის, ირანისა და საქართველოს ცის ქვეშ. ერეკლე და მისი მცირე რაზმი ასპინძის მიდამოებში იბრძოდნენ არა მარტო თავისის თავის დასაცველად, არა სახელის მოსაპოვებლად, არამედ მთელის ქრისტიანობისთვის; ამ ომში ისინი იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტიანობოივის იდეიით (ზოგიერთებს გარდა). ქართველები ასპინძის არე-მარეში ასრულებდნენ როლს ჯვაროსნებისას და იმათი ღვაწლი უფრო ღრმაა თვისის შინაარსით, უფრო ბრწყინვალეა თვისის გარეგნობით და უფრო მაღალია თვისის მიზნით, ვინემ ღვაწლი ჯვაროსნებისა. ქართველი ერი ეომებოდა მაჰმადიანებს არა იმიტომ, რომ ეს უკასკნელნი აღიარებდნენ მაჰმადის სარწმუნოებას, არამედ იმიტომ, რომ ეს მაჰმადიანები სცდილობდნენ დაჩაგვრას და ხშირად კიდევაც უჩაგრავდნენ მათ თავისუფლებას პოლიტიკურის ცხოვრებისას, ენისას და სჯულისას, ხშირად აოხრებდნენ საქართველოს სოფლებს და ქალაქებსა, ანგრევდნენ ციხე-სიმაგრეს და ტაძარ-მონასტრებსა... თვით ომის დროს მტრებთან ქართველს მშვენიერად ესმოდა აზრი ომისა; ის არ ომობდა გაუგებრად,—ბრმულად, როგორც დაქირავებული მეომარი, ის გრძნობდა, რომ თვისის სისხლით იხსნის სამშობლოის მომავალს შავ-ბნელი ხვედრისაგან; მას გულის ფიცარზედ ეწერა შემდეგი სიტყვები შოთასი:

„ეგე ამბად არ ეგების,
რომე სპარსნი გაგვიხასდეს“ (გაგვიბატონდეს).

ერეკლეს ასპინძის ომით, სხვათა შორის, სურდა ჯავახეთი და ახალციხის მხარე, ქართველის ტომით დასახლებული, წაერთმია ოსმალეთისთვის და შემოეერთებინა საქართველოსთვის (გვ. 8)—ამ წიგნში გამოხატულია თავ-განწირული შეგნებული სიყვარული სამშობლოისა; ამ სიყვარულით გამსჭვალულია ერეკლე მეფე და მისი მცირე რაზმი. „ჩვენ ან უნდა გავიმარჯვოთ მტრებზედ და ან მთლად დავიხოცნეთ აქა... წინ და არა უკან!“ შეღაღადებს იგი თავისს ჯარს ასპინძის ომის დაწყების წინ საშინელს გაჭირვების დროს. (გვ. 13). შემდეგ ამისა ომში „არც ერთი ქართველი ტყვია ტყუილად არ იკარგებოდა (გვ. 19—20). როდესაც ომის დალაგებით აღწერას ჰკითხულობ, მამულის შვილური გრძნობა ალტაცებაში მოდის, გულში გიხარიან, რაღაც გამოურკვეველს სიამოვნებას ჰგრძნობ, მტერთა გაქცევის ამბის გაცნობით, შეჰნატრი სულით და გულით იმ გმირებს, რომელნიც ასპინძის ცის ქვეშ თავ-გამეტებულად ებრძოდნენ ოსმალ-ლეკებსა, გამხნევებულნი საყვარელის მეფის ცოცხალის მაგალითითა, რომელიც თითოეულს მხედარს ვაჟ-კაცობის სულს ჩაუდგამდა. „ასპინძის ომის“ გაცნობით ქართველი ახალგაზდა სულით და გულით შეიყვარებს ერეკლე მეფესა, რომელიც გახდება მისთვის ეროვნულ გმირად, უბრწყინვალესს იდეალად მამულის შვილობის, შეუდარებელის სიმამაცისა და გენიოსურის მთავარ-სარდლობისა და თანაც შეიყვარებს თვისს ღვაწლით შემოსილ წინაპრებსა, რომელნიც იბრძოდნენ სამშობლო მიწაწყლის, ენისა და სჯულის ამ სამი ერის უკვდავ მყოფელის საუნჯის დასაცველად. ასპანძის ომი და იმისი მზგავსის ისტორიული შინაარსის წიგნების ზედ-გავლენით ქართველს ახალ-გაზდობაში გაიღვიძებს ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა, ეროვნულ თვით-ცნობიერებასთან შეერთებული, რომელთ ჩაგონებით ქართველი ადვილად არავის გაეთელვინება. ამ წიგნების ზედ—გავლენითვე ქართველს ახალს თაობას აღეძვრის სურვილი თვისის სამშობლოის წარსულის ისტორიის შესწავლისა, და ამ შესწავლით-კი ის დაემყარება მტკიცედ თვისს მშობლიურს ნიადაგზედ და გახათლების იარაღით აღჭურვილი, წინააღუდგება დროისა და გარემოებათა შემმუსვრელს და გამანადგურებელს ძალებსა. იმედია, ბ. იაკობ გოგებაშვილი ქართველთ ახალ თაობის სასარგებლოდ დასწერს კიდევ ბევრს ასეთს საუცხოვოდ შედგენილს და სასიამოვნო წასაკითხს ამბებს საქართველოს ისტორიიდგან.

ინ-ფარი.

ალმდეგობას სწევდნენ გათათრებისათვის. მაშინ ჩვენ დიდ ფაშად სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი იყო. ამას თავისი სახლ-კარი ზეგანში ჰქონდა, მაგრამ ხშირად ბათუმშიაც ჩამოდიოდა. ბათუმი, კახაბერი და ჩვენი მხარე თავდგირიძეებს ებარათ. თავდგირიძეები ერთხნობით აჭარასაც ჰპატრონობდნენ. ესენიც ძალიან ცდილობდნენ გურიის დაჭერას და გათათრებას, მაგრამ სელიმ-ფაშ სჯარბობდა ამათ. ერთხელ სელიმ-ფაშას ხონთქრისაგან ბრძანება მოუვიდა, რომ 6000 კაცს მე გიგზავნი არზრუმიდგან, 6000 შენ გამოიყვანე და ამ ჯარით წადი, კინტრიში გაიარე და გურიას დაეცი, დაიჭირე, აიკელი და მერე ხალხიც გაათათრეო. ეს ამბავი სელიმ-ფაშას ძლიერ გაეხარდა, რადგანაც გურიელების ჯავრი იმას დიდად სჭირდა. ეს მალე მოვიდა თავისის ჯარით ბათუმში და აქედგან კინტრიშზედ წავიდა; აქ მას მიემატნენ სხვა-და-სხვა ახალი გათათრებულნი და ყველა ესენი ერთად შეერთდნენ. სელიმ-ფაშამ ხალხს უთხრა, რომ გურიას თუ ავიღებთ, გურიის ფაშადაც მე დავჯდები და მთელს გურიასაც მალე გავათათრებო. ხალხს გაეხარდა. მეც იმ ჯარში ვერიე.

ჩვენი ჯარი მალე წავიდა გურიისაკენ და მართლაც ძლიერ ბევრი სოფლები ავიკელით. ბოლოს ჩავედით აკეთში, ავიკელით აკეთი და აკეთის ეკკლესია; აკეთის ეკკლესიიდამ გამოვიტანეთ ერთი ძველი ხატი, რომელ ხატსაც სელიმ-ფაშა გურიელებს ეძავებოდა, რადგანაც ეს ხატი ხსენებულ ეკკლესიისათვის ერთს ჩვენს ძველს ხიმშიაშვილთაგანს შეუწირავსო. ხატი გაძარცვეს, დაამტვრიეს, დაჟეჟეს და მერე ვილაცამ შეინახა. მალე ეს დამტვრეული ხატი გურულებმა იყიდეს და უკანვე წაიღეს. ჩვენ აკეთიდამ გავბრუნდით ლანჩხუთისკენ, ლანჩხუთში ჩვენ დიდი ჩხუბი მოგვიხდა და ლანჩხუთელები მთლად დავამარცხეთ, ძლიერ ბევრი ტყვეებიც დავიტაცეთ და იქიდამ სუფსისკენ წამოველით. სუფსასთან რომ მოვედით, იქ გურულები წამოგვეწივნენ და შეგვაჩერეს, მერე ომი გამოგვიცხადეს; მეორე დღეს ომი დავიწყეთ. ერთს მხარეს ჩვენ ვიდექით და მეორე მხარეს გურულები, ჩვენ გვყავდა თორმეტი ათასი კაცი და გურულებს-კი ექვსასი. სელიმ-ფაშამ გვითხრა:

— მთელი გურიის ჯარი ჩვენ ჩაგვივარდება ხელში და მერე მე ვიცი, რასაც ვუზამ მათ, ყველას ოსმალში გადავრეკავ და გავათათრებ ძალით.

— ღმერთისა და მუჰამედის ძალით, მიუგო ერმა.

მალე ომიც დაიწყეს, მაგრამ გურულები ოსმალთ ტყვედ არ ჩაუვარდნენ, რადგანაც საითაც ოსმალები იდგნენ, იქითკენ ცა ღრუბელ-ნისლ-ბურუსით შეიკრა და საითაც გურულები იდგნენ, იქით-კი მზე იდგა და დარი იყო. გურულები ჩვენ გვხედავდნენ და ჩვენ-კი ვერა ვხედავდით. ომის დროს გურულებმა ძლიერ გაგვიჭირეს საქმე, დიდძალი ჯარი გაგვიწყვიტეს და კინაღამ სელიმ-ფაშა და მისი პატარა შვილი ახმედ-ფაშაც მოგვიკლეს, მაგრამ თავს ვუშველეთ, გამოვიქეციით, თუმცა დიდი ზარალი-კი ვნახეთ და ხალხი დავკარგეთ. სელიმ-ფაშას ძლიერ უკვირდა ის, რომ იმ ომის დროს ისეთი საოცარი დღე და ცვლილება მოხდა. სელიმ-ფაშამ დაიწყო ლაპარაკი:

— ეს სულ ჩემი ბრალია. მე რომ ისე არ მოვქცეულიყავი და აკეთის ეკკლესია არ დამექცია, მაშინ არც მე მომივიდოდა ესაო, თუ არა და, რას ვერჩოდი ეკკლესიებს და ნამეტურ ხატებს, რომლებიც მე არაფერს მიშავებდნენ და უკანონოდ დამტვრეულ და გაძარცულ იქმნა ჩემგან. ფაშას გარდა ბევრნი სხვანიც ლაპარაკობდნენ ამაზედ, რომ ასეთი საქმეები არ უნდა გვექნა, რადგანაც ეკკლესიები და ხატები ზოგი ჩვენის შვილების გაკეთებულიაო. ბევრს ეწყინა ეს, მაგრამ რას იზავდნენო.

სელიმ-ფაშამ აკეთი, ლანჩხუთი და სხვა ამ მხრის სოფლები უფრო მიტომ აიკლო და აოხრა, რადგანაც ადრე აქ მოკლეს მისი მამა, აბდულ-ალა და ამიტომ სჭირდა ამ სოფლების ჯავრი სელიმს.

აბდულ-ალას უნდოდა, რომ მთელი გურია დაეჭირა და გაეთათრებინა, მასაც დიდი ჯარი ჰყავდა ოსმალთაგან მოცემული. აბდულ-ალას ძლიერ ეჯავრებოდა გურჯები. ეს რომ აკეთში არ მოეკლათ, მაშინ იგი მთელს გურიას დაიჭერდა. დღე და ღამ სულ ომის სამზადისი ჰქონდა, მუდამ დღე გურიისაკენ მიდიოდა საომრად, გურულები ძლიერ შიაშინა, მაგრამ გურულებიც მაგრად იყვნენ მის წინ. აბდულ-ალამ ერთხელ 500 ქალი და კაცი შეაგროვა ქრისტიან გურულებისა, სულ ლამაზი გოგო-ბიჭები და ყველა ესენი სტამბოლში ფადი-შახს და დიდრონს ვეზირებს გაუგზავნა ძღვნად. აბდულ-ალასთან გურიის ბეგიები და აღიებიც მოდიოდნენ ხოლმე და გოგო-ბიჭები მოჰყავდათ და ჰყიდდნენ, აბდულ-ალაც ყიდულობდა ხოლმე.

აბდულ-ალასი კარგი მეგობრები კახაბერში თავდგირიძეები იყვნენ და აბაშიძეები. თავდგირიძეები და აბაშიძეებიც ბევრჯელ დაეცნენ გურიას, აიკლეს გურიის ციხეები, ხალხი დაიჭირეს, ბათუმში ჩარეკეს და გაათათრეს. მერე სვიმონ გურიელი ჩამოვიდა ბათუმს და ბევრი გათათრებული ქრისტიანები დაიბრუნა ფულით და გურიაში წამოიყვანა. ბათუმში ამან თავისი კაცები დააყენა, რომ ამან თვალ-ყური ედევნებინათ, გურიიდამ აქ ტყვეები არავინ ჩამოიყვანოს, არ დაყიდონ თათრებზეო; მაგრამ ეს კაცები იქ ვერაფერს აკეთებდნენ და გურიის აღიები და ბეგიები ბათუმში ძლიერ ბევრს გურულებს ჰყიდდნენ ოსმალებზედ და ოსმალებიც ათათრებდნენ მათ. ბათუმის როსტომაზადეები მაშინ ელი დაყიდულები არიან და გათათრებულნი. რამდენი კიდევ სხვა. მე მახსოვს რომ ბათუმში გურულების ეკკლესია იყო, მაგრამ დააქციეს, რადგანაც მის გვერდით დიდი ჯამეს კეთება დაიწყეს ხონთქრის ბრძანებით.

ბათუმის ეკკლესიის დაქცევის დრო 1820 წლებს ეკუთვნის. აქ იყო პატარა ეკკლესია, მღვდელი გურიიდგან მოდიოდა დღესასწაულებში და ხალხს ალოცებდა. შემდეგ ქართველებმა ბერძნების ეკკლესიაში იწყეს სიარული, ბერძნების ეკკლესია აქ 1835 წელში გაუკეთებიათ.

(სულეიმან ბეგ ბეჟანიძის ნაამბობი).

ბათუმის ზემოდ ერთს პატარა მთაზედ დღევანდლამდის ერთი დაქცეული პატარა ეკკლესიის ნანგრევი სდგას.

ძველად ამ ეკკლესიას სამება ერქვა. ამ ეკკლესიის გარშემო სოფლები არის: მახინჯაური, ორთაბათუმი, ყოროლის თავი, ახალშენი, სამება და სხვანიც მრავალნი. ყველა სოფელს თავისი ეკკლესია და მღვდელი ჰყავდა. ეს ეკკლესია-კი ყველასი ყოფილა, როცა ამ ეკკლესიის ზარს დარეკავდნენ ხოლმე, მაშინ აქ მთელის ამ სოფლების ხალხი შეგროვდებოდა ხოლმე და აქ ლოცულობდნენ. ამას გარდა აქ გაარჩევდნენ ხსენებულის სოფლის ხალხის საქმეს და სხვანი. აქ ქრისტიანობა ერთობ დიდ-ხანს შეუნახავს ხალხს. ამ რამდენიმე წლის წინად აქ კაცები იყვნენ, რომელთაც ახსოვდათ ხსენებულ სოფლის კაცები, რომლებიც ერთ დროს ქრისტიანებათ ყოფილიყვნენ და ბოლოს გათათრებულან.

III

(მოხუცის მჟავანაძის ნაამბობი.)

ჩვენი ხალხის გათათრება, შენი ჭირიმე, დიდის წვალებით მომხდარა. მე რომ მითხრას ვინმემ, გაქრისტიანდი, თორემ შვილს მოგიკლავო, მე მაშინათვე გავქრისტიანდები და შვილს-კი არავის მოვაკვლევინებ. სოფელ ჩაქვის ხალხი მთლად გათათრების გამო გაწყვეტილა ოსმალთან ბრძოლაში; ყველას პირზედ ის ჰქონია, რომ არ გავთათრდებით და არაო. ამის გამო ოსმალებს მთელი ჩაქვი გაუწყვეტიათ, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვიათ. თვით ჩვენი ძველები იტყოდნენ და მეც მოვსწრებივარ ამ კაცებს, რომ კინტრიში გაათათრეს, ქობულეთსა და ჩაქვის ხეობაში-კი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობასა, რადგანაც ხალვაშენების გვარში და გორგაძნეების გვარში მღვდლებს ჩუმად ინახავდნენო. ამათ მღვდლები საერო ტანთ-საცმელით ჰყავდათო, მაგრამ ბოლოს ოსმალებმა შეუტყეს ეს, და ერთს დღეს კინაღამ დახოცეს ყველაო. როგორც ამბობენ, ჩვენი ძველები ქრისტიანობაზედ ძალიან მაგრა მდგარან, ძლიერ ბევრი უშრომნიათ მის შენახვაზედ და ბევრიც უწვალნიათ და უტანჯნიათ გათათრების გამო. ვერ ნახავთ ვერც ერთს ოჯახს ჩვენის ძველებისას, რომ იქ გათათრების გამო დიდი სისხლი არ იყოს დაღვრილი. თათრობას მით უფრო ერიდებოდნენ და სძულდათ, რადგანაც თათრობა ძლიერ ძნელი რამ არის, ამასთანვე თუმც სუფთა, მაგრამ დღეში ხუთჯერ ლოცვა ერთობ უძნელებდა ხალხს საქმეს. ჩემის ახალგაზდობის დროს მე მახსოვს კარგად, რომ ჩვენ არც ერთი ლოცვა არაბულად რიგიანად არ ვიცოდით. აქ დიდხანს მეცადინეობდნენ ხოჯა-მოლლები, რომ ჩვენთვის ლოცვები ესწავლებინათ, მაგრამ მაინც ვერ გვასწავლეს და ეს დღესაც არ ვიცით ჩვენა.

ხოჯებმა და მოლლებმა ერთი ის გვასწავლეს, რომ შენ ქართველი არ ხარ, ქართველი შენი მტერია, ქართველი მურდალია და მისი მომკვლელი თათარი უეჭველად ცხონდება.

IV

(ერთის მოხუც ქართველ მაჰმადიანის ნაამბობი).

აბდულ-ალა აკეთში მოკლეს, ამისი შვილი, ბათუმში რომ ჩამოსულა, ბათუმში რაც გურული ყოფილა, ყველა ესენი დაუჭერია და გამოუცხადებია, რომ ყველანი უნდა გათათრდეთო; ბევრნი გათათრებულან. რადგანაც აქ დუქნები და სახლ-კარი ჰქონიათ და მისთვის თავი ვერ დაუნებებიათ, ბევრნი არ გათათრებულან. ესენი არც შინისკენ გამოუშვიათ, ზოგისთვის თავები დაუჭრიათ და ზოგი-კი ოსმალში გაურეკიათ. ჩვენი ძველებიც აი ამ დროს გათათრებულან, მაგრამ ბევრი მწუხარება-კი გამოუვლიათ საწყლებს. ნეტა რად შვრებოდენ? ასე საწყლები, ხომ ხედავდნენ რომ თათრობა როგორი წმიდა, კარგი რამ იყო! რატომ თავის ნებით არ თათრდებოდნენ, თავებს რათ ახოცვინებდნენ. ამბობენ, რომ აჭარა ნებით გათათრებულა და ჩვენი მხარე კი ძალითაო. თქმულობა არის ჩვენში, რომ ყველა ეს ადგილები და ხალხი ისევ უნდა დაქრისტიანდნენო, მხოლოდ ქობულეთი ძალით გაქრისტიანდება, რადგანაც ძალით არის გათათრებული და აჭარა-კი თავის ნებითაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

შემო დგომაზედ სახელმწიფო საბჭო განიხილავს საგლეხო ბანკის ახალის წესდების პროექტს. ახალის წესდებით საგლეხო ბანკს მიეცემა ნება სესხის გაცემისა გლეხთათვის მამულების შესაძენად ისე, როგორც წინად. გარდა ამისა ბანკს მიენიჭება თვით შეიყიდოს ხოლმე მემამულეთაგან დავალიანებული მამულები და შემდეგ ან იჯარით მისცეს გლეხებს ან ნაწილ-ნაწილ მიჰყიდოს მათ. ახალის პროექტით სარგებელიც დაკლებულია.

—

წელს 27 ნოემბრიდგან 14 დეკემბრამდე მოსკოვში გაიმართება რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენა. მოსკოვის სამეურნეო საზოგადოება იმ დროისთვის მოიწვევს რუსეთის მეურნეთა კრებას.

—

სავაჭრო და სამანუფაკტურო დეპარტამენტის ცნობებიდგან სჩანს, რომ სულ რუსეთის იმპერიაში 26,198 ფაბრიკა და ქარხანა არის. 1892 წელს ყველა ამ ფაბრიკა-ქარხნებში მომზადებული ღირებულა 1,638 მილიონი მან.. მუშების რიცხვი 1,171 ათასი კაცია.

—

გაზეთები ამბობენ, მთავრობას განუზრახავს შესცვალოს სატყეო ინსტიტუტის პროგრამაო.

## უცხოეთი

—

**ბულგარია.** როგორც გაზ. „კელნიშე ცეიტუნგ“-ს ატყობინებენ სოფიიდგან, სტამბულოვის მკვლელთა შესახებ გამოძიება ჯერ არ შეწყვეტილა. ის ამბავი, რომ ბონა გეორგიევი გამოტყდაო, არაფრით არა მტკიცდება, მაგრამ ეჭვი-კი დიდი აქვთ; ამის გამო გეორგიევი და აგრეთვე ტიუფექჩიევი, ორივენი დაპატიმრებულნი არიან. ერთი ვენელი გაზეთი იუწყება, რომ სტოილოვი მალე სამსახურს თავს დაანებებს, რადგანაც იმასა და პრინც ფერდინანდს შორის უთანხმოება მომხდარა. საზოგადოდ „კელნიშე ცეიტუნგ“-ის ვენელ კორესპონდენტის სიტყვით ვენაში დიდის ეჭვით თურმე ეპყრობიან სტოილოვს, უფრო-კი იმიტომ, რომ ორ აზროვანად მოქმედებს რუსეთისა და მაკედონიის საქმეში და არა აქვთ იმედი, რომ სტოილოვმა შეიძლოს შინაურ არეულობისა და უწესოების მოსპობა და ის, რომ განფანტოს პრინცის ფერდინანდის ფანტასტიური გეგმები. ერთს გაზეთში დაბეჭდილია ამ გაზეთის თანამშრომლის ბაასი სტოილოვთან. სტოილოვს უთქვამს, როგორც თითონ გადუცია გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ რუსეთს წარგზავნილს დეპუტაციას დავუბარეთ —მართალია ბულგარიის მთავრობას ჰსურს კვალად ნორმალური დამოკიდებულება არსებობდეს რუსეთსა ბულგარიის შორის, მაგრამ არის ისეთი საგნებიც, რომელთა შესახებ არავითარს ცვლილებას არ შეიტანს მთავრობა. ბულგარია არ დაუთმობს რუსეთს არც ერთს თვისს ნავთ-სადგურს შავს ზღვაზედ და არ მიიღებს რუსეთის მოხელეთა და აფიცრებს ბულგარიის სამსახურშიაო. აგრეთვე არავითარი მონაწილეობა არ უნდა ექნეს რუსეთს ბულგარიის თავადის ამორჩევაში.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ვენის საყოველთაოდ ცნობილი გაზეთ „ვარენშ ვოშენშრიფტ“-ში დაბეჭდილია წერილი რუსეთის პოლიტიკის შესახებ. ამ წერილში რუსეთისა და გერმანიის დამოკიდებულების შესახებ საშინელი პესიმისტური აზრებია გატარებული.

ამ წერილმა „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის სიტყვით დიდი გავლენა იქონია თურმე მკითხველებზედ, რადგან-ც „ვარენშ ვოშენშრიფტ“-ი ითვლება ისეთ ორგანოთ, რომელიც პირ-და-პირ დიპლომატიურ წყაროებიდგან იღებს თვისს ცნობებს. გამომცემელს ამ გაზეთისას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ვენის გარეშე საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითის საქმის ბიუროში. გამომცემლის მაგიერად გაზეთს ხელს აწერს მდივანი ამ თვალ-საჩინო მოხელისა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

„კვალის“ 29 №-ში დაბეჭდილია წერილი ვიღაც გურიის-ტბელისაგან ვითომც დიდს შეწუხებაში იყვნენ ოზურგეთელი ნოქრები კვირა-უქმე დღეებში სავაჭრო დუქნების დაუკეტაობის გამო და ამითი ეკრძალებოდათ მათ უფროსებისაგან ეკკლესიაში სიარული; ამიტომ ითხოვს მაზრის უფროსისაგან განკარგულებას, რომ ცხრა საათიდგან შუადღის პირველ საათამდე დაიკეტოს დუქნები და თავისუფლება მიეცეთო; მაგრამ რასაც ბრძანებს ბ-ნი კორესპონდენტი, სიმართლეს მოკლებულია. ნოქრებს სრული თავისუფლება აქლევთ, არამც თუ კვირა-უქმე დღეებს, არამედ საქმის დღეებშიაც-კი ეკკლესიაში სიარულისა. როგორც ეტყობა, ბ-ნი კორესპონდენტი ან ბრმა უნდა იყოს და ან ოზურგეთი თავისს დღეშიაც არ უნახავს, თორემ,

რასაც თვითონ ბრძანებს, ეს წეს-რიგი დიდი ხანია სუფევს ქ. ოზურგეთში.

ლ. ჩხაიძე.

—

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო დიდი მადლობა თელავის სცენის ანტრეპრენერს ბ. აჯიმამუდოვს, რომელმაც 29-ს ივნისს გამართა ქართული წარმოდგენა აქაურ მოსწავლე ყმაწვილების სასარგებლოდ.

მასწავლებელი გრ. წიკლაური.

ქ. თელავი, 12 ივლისი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პეტერბურგი** 17 ივლისი. მემკვიდრე ცესარევიჩი მობრძანდა პეტერბურგს, სადაც მას მიეგება იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. მათ უმაღლესობათ პეტრე-პავლეს ტაძარში იმპერატორის ალექსანდრე მესამის სამარეს წინაშე ილოცეს და შემდეგ პეტერგოფს გაემგზავრნენ.

გაზეთების სიტყვით პროფესორი ზახარინი და ლეიდენი პეტერგოფს წავიდნენ.

18 ივლისს სამიწათ-მოქმედო მინისტრი ოლონეცის მხარეს მიდის; შემდეგ გაემგზავრება დასავლეთ ციმბირს.

**პარიზი.** გენერალურ საბჭოებში ამორჩეულ იქმნენ 530 რესპუბლიკელი და 136 კონსერვატორი; 44 მეორედ უნდა უყარონ კენჭი.

**სტამბოლი.** ქალაქ მელნიკის ახლო აჯანყებულ მაკედონელთა და ოსმალეთის ჯარის შორის შეტაკება მოხდა. ოსმალელთ სიტყვით აჯანყებულთ უხმარიათ დინამიტი, რასაც ოსმალნი შეუძრწუნებია. ოსმალეთის მთავრობამ ჯერ-ჯერობით გამოიწვია 3000 კაცი სათადარიგო ჯარისა.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტაროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცა- | | |



# ბზიალა სახამებელი

## კელერისა

როგორც მშრალი ისე დამზადებული სითხეთ და აგრეთვე

## ლილა კელერისა

სარეცხისათვის,

ყველა ესენი თვისის ღირსებით ბევრით მაღლა სდგანან, როგორც რუსეთისა, ისე საზღვარ-გარეთის ამგვარ ნაწარმოებებზედ.

ისყიდება

ყველგან ჩ ყველა

ცნობილ ვაჭრებთან.



(2—27—1).



**პ. ს. დოროფეევი** (იაროსლავიდგან).

სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.

ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

იაფ ფასად

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი საპნები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული სავაჭრო დანიშნულ ფასზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (10—1644—1).





იყიდეთ მხოლოდ

ციმოლის კბილის ელექსირი და
ციმოლის კბილის ფხვნილი.

საუცხოვოდ სწმენდენ პირს და კარგად ინახვენ ღრძილებსა და კბილებს.

**ს. პ. ბ. სატეხნიკო-ქიმიურ ლაბორატორიისა**

ს. პეტერბურგი, ალექსანდრეს მოედ. 9. მოსკოვი, ვარშავა.

(8—10—1).



იბეჭდება და მალე გამოვა

## ა. ს. მესხის

## დრამატიული ნაწარმოები

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:
1) **თამარ-ბატონიშვილი,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე,** დრამა 4 მოქმედებად.
3) **ქარაფშუტა,** სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:
1) **რუსთაველი,** ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) **სამშობლოს სადიდებლად,** ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) **შეშლილია,** ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:
1) **ირაკლი მეორე,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება,** კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდის,** ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაუთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს ან მეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაუთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, ა. ს. მესხს.



დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის [illegible]ადვილოდ დაზღ[illegible]ევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible]ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომშ (100—721—›)



**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემუშწოდასადგურებზედ. 50—6—39